

შპს გეოფუდი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ბოლო გვერდი	11


შპს „გეოფუდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-22	01-იან-22
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	274,317	120,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	683,221	482,088
გადახდილი ავანსები		123,652	116,474
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,381,971	943,720
წინასწარ გადახდილი გადასახადები		204,741	153,718
სულ მიმდინარე აქტივები		2,667,903	1,816,112
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	34,816	26,414
სულ გრძელვადიანი აქტივები		34,816	26,414
სულ აქტივები		2,702,718	1,842,526
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	434,740	476,964
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	514,638	270,506
სულ მიმდინარე ვალდებულებები		949,378	747,470
სულ ვალდებულებები		949,378	747,470
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,751,340	1,093,056
სულ საკუთარი კაპიტალი		1,753,340	1,095,056
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,702,718	1,842,526

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



შპს „გეოფუდი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	9	6,056,257	3,408,706
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(4,811,098)	(2,902,120)
საერთო მოგება		1,245,159	506,586
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(340,205)	(240,640)
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(7,879)	16,597
სხვა შემოსავალი		40,720	42,405
საპროცენტო ხარჯები		(34,286)	(16,719)
მოგება დაბეგრამდე		903,509	308,229
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		903,509	308,229

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



შპს „გეოფუდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-22	01-იან-22
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	274,317	120,112
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	683,221	482,088
გადახდილი ავანსები		123,652	116,474
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,381,971	943,720
წინასწარ გადახდილი გადასახადები		204,741	153,718
სულ მიმდინარე აქტივები		2,667,903	1,816,112
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	34,816	26,414
სულ გრძელვადიანი აქტივები		34,816	26,414
სულ აქტივები		2,702,718	1,842,526
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7	434,740	476,964
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულება	8	514,638	270,506
სულ მიმდინარე ვალდებულებები		949,378	747,470
სულ ვალდებულებები		949,378	747,470
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		1,751,340	1,093,056
სულ საკუთარი კაპიტალი		1,753,340	1,095,056
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,702,718	1,842,526

ხელმოწერი პირი:

დირექტორი

შპს „გეოფუდი“

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ლარებში

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები	9	6,056,257	3,408,706
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	10	(4,811,098)	(2,902,120)
საერთო მოგება		1,245,159	506,586
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(340,205)	(240,640)
საოპერაციო ხარჯები		-	-
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		(7,879)	16,597
სხვა შემოსავალი		40,720	42,405
საპროცენტო ხარჯები		(34,286)	(16,719)
მოგება დაბეგვრამდე		903,509	308,229
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა ზარალი/მოგება		903,509	308,229

ხელმოწერი პირი:

 დირექტორი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გეოფუდი“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (ს/წ 223366541), რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, 2010 წლის 3 ოქტომბრიდან საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, ქ. ახალქალაქი, მალხასიანის ქ., N10.

კომპანიის მესაკუთრეები არიან - 50% სამველ გოგორიანი და 50% სამველ მანუკიანი.

კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავ კომპანიის დირექტორი - სამველ გოგორიანი.

შპს „გეოფუდი“-ს საქმიანობას წარმოადგენს სასმელით და კვების პროდუქტებით საბითუმო ვაჭრობა.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-22	31-დეკ-21
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოების (IFRS for SME) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება 2021 და 2022 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, 2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	14-20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაიხედოს, რათა მოხდეს იმის განსაზღვრა არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. ასეთ შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

შპს „გოუფუდი“

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი
ლარებში

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	39,818	86,428
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	233,851	33,220
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	648	464
სულ ფულადი სახსრები	274,317	120,112

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	683,221	482,088
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	683,221	482,088

5. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მზა პროდუქცია	1,088,410	846,168
სხვა მარაგები	8,137	4,152
ნედლეული	285,423	93,400
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,381,971	943,720

6. ძირითადი საშუალებები

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	68,058	18,977	87,035
შეძენა	9,000	2,618	11,618
ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	77,058	21,595	98,653
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	43,311	17,310	60,621
ცვეთა	3,027	190	3,217
31 დეკემბერი 2022	46,338	17,500	63,838
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	24,747	1,667	26,414
31 დეკემბერი 2022	30,720	4,095	34,815

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	422,033	464,259
მიღებული ავანსები	12,557	12,557
ხელფასი	150	150
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა ვალდებულება	434,740	476,966

8. სესხები

მიმდინარე სასესხო ვალდებულება	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
პროცენტი	238	238
ძირი თანხა	514,400	270,268
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულება	514,638	270,506

9. ამონაგები

ამონაგები	2022	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	6,056,257	3,408,706
ამონაგები	6,056,257	3,408,706

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2022	2021
მზა პროდუქციის თვითღირებულება	4,803,213	2,897,069
სატრანსპორტო ხარჯი	3,941	3,814
აქციზური მარკების ღირებულება	3,944	1,237
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	4,811,098	2,902,120

11. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
ხელფასის ხარჯი	205,780	153,483
ცვეთის ხარჯი	3,216	1,952
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	24,639	13,273
იჯარის ხარჯი	39,961	29,361
სხვა ხარჯი	66,609	42,572
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	340,205	240,640

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც კომპანიის ოპერირებაზე გავლენას მოახდენდა, არ დაფიქსირებულა.

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტმა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 22 სექტემბერს.